

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

სახე: უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. №16
ტელეფონი: 277 65 71; 277 31 38
ფაქსი: 277 65 72
ელ.ფოსტა: mail@ssu.edu.ge

მიმართულება: ინჟინერია

სპეციალობა: საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია 0416

საგანმანათლებლო პროგრამა: საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალობით
მიზნები	<p>საბაკალავრო პროგრამა შედგენილია ICAO-ს ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის, EASA-ს სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრების მიმართ დადგენილი მოთხოვნებისა (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს #216/2008 რეგულიაცია, 2008.02.20. და COMMISSION REGULATION (EU) No 1178/2011, 2011.11.03, EASA Part-FCL Annex to ED Decision 2011/016/R) და „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ (საქართველოს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №150) შესაბამისად და ორიენტირებულია, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. აღნიშნული სპეციალობით ბაკალავრიატში სწავლების უმთავრესი მიზანია: საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის პროცესებისა და სისტემების შესწავლა; საავიაციო სფეროს ფართო ცოდნის შეძენა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დარგობრივი კომპეტენციების, მოვლენათა კომპლექსური ხედვის ჩამოყალიბება და პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება; შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პილოტის მომზადება, რომლებსაც მიეცემათ იმ თანამდებობებზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალობით.</p>
შედეგები	აქვს საავიაციო სფეროს ფართო ცოდნა საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დარგში, რომელიც მოიცავს: საბუნებისმეტყველო

საგნების ძირითადი ცნებების და მეთოდების ცოდნას სხვადასხვა საფრენოსნო ამოცანების გადასაჭრელად; მათემატიკის ძირითადი ცნებებისა და ანგარიშის მეთოდებს, საფრენოსნო-სანავიგაციო და ტექნიკური ამოცანების გადასაჭრელად; საჰაერო კანონმდებლობის ძირითად საკითხებს. “ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს” (EASA), “სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა” (ICAO) და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს რეკომენდაციებს, ნორმებსა და მოთხოვნებს; საჰაერო ხომალდების, ფუნქციური სისტემებისა და საავიაციო ძრავების ოპერატიულ-ტექნიკურ და საფრენოსნო ექსპლუატაციას; საჰაერო ხომალდების საპილოტაჟო-სანავიგაციო სისტემებისა და ხელსაწყოების მუშაობის პრინციპებს, სამუშაო დიაპაზონებს, შესაძლო ცდომილებებსა და მტყუნების მოსალოდნელ შედეგებს; საავიაციო მეტეოროლოგიის ძირითად საფუძვლებს, რუქებს, ფაქტიური ამინდისა და პროგნოზის ანალიზს; საჰაერო ნავიგაციის თეორიას და ნავიგაციური ამოცანების გადაჭრის ხერხებს; საჰაერო ხომალდის მასისა და ბალანსის, ფრენის პრინციპების, საფრენოსნო მახასიათებლებისა და საექსპლუატაციო პროცედურების ცოდნას; ადამიანის ფაქტორს და შესაძლებლობებს (ფიზიკური და ფსიქოლოგიური); ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს.

პრაქტიკულ საქმიანობაში მოქმედებს სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად; შეძლებს საჰაერო ხომალდის მასის, ბალანსის, საექსპლუატაციო პროცედურებისა და საფრენოსნო მახასიათებლების გამოთვლით ფრენის დაგეგმვას და აერონავიგაციური გარემოს გათვალისწინებით მის უსაფრთხო შესრულებას, საჰაერო ხომალდის, საავიაციო ძრავების, ფუნქციური სისტემების, რადიოელექტრონული და საპილოტაჟო-სანავიგაციო მოწყობილობების უსაფრთხო საფრენოსნო და ოპერატიულ-ტექნიკური ექსპლუატაციას; ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფას შესასრულებელი ფრენის ყველა ეტაპზე, საფრენოსნო ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად, როგორც სტანდარტულ, ასევე განსაკუთრებულ და ავარიულ სიტუაციებში, ავარიული დაფრენის შემთხვევაში განახორციელოს საავარიო და სამაშველო ღონისძიებები.

აქვს აერონავიგაციური გარემოს გათვალისწინებით, დაგეგმილი ფრენის შესრულებაზე ან მის გადადებაზე გადაწყვეტილების მიღების უნარი, ფრენის დროს შექმნილ, როგორც სტანდარტულ, ასევე განსაკუთრებულ სიტუაციებში სწრაფი, გონივრული გადაწყვეტილების მიღების უნარი, რის საფუძველზეც უზრუნველყოფს ფრენის უსაფრთხოების გარანტიას.

აქვს კომუნიკაციის უნარი სპეციალისტებსა და არასპეციალისტებთან ქართულ და ინგლისურ ენაზე, საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის თავისებურებების გათვალისწინებით, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ასევე პროგრამული უზრუნველყოფის პრაქტიკული გამოყენების უნარი, საჰაერო მოძრაობის კონტროლის მეთვალყურესთან რადიოკომუნიკაციის შეუფერხებელი წარმართვის უნარი.

აქვს ავიაციის სფეროში სხვადასხვა ტექნიკური წყაროების გამოყენებით, ინტერესების გაფართოებისა და ცალკეული საკითხების შესწავლის უნარი, უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უნარი, მიღებული განათლებისა და დაგროვილი გამოცდილების შესაბამის, მისთვის სასურველ ან/და საავიაციო ბაზარზე დასაქმებისათვის მოთხოვნად საჰაერო ხომალდების სხვადასხვა ტიპზე გადამზადების კურსის გავლის უნარი.

უნდა დაიცვას სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, გაითავისოს საკუთარი პასუხისმგებლობა საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებისა და ბორტზე მყოფ მგზავრთა მიმართ, გამოიმუშაოს ფრენის უსაფრთხოების გარანტის თვისებები და გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში.

კრედიტები	2 4 0
საკონტაქტო პირი	ასოცირებული პროფესორი გიორგი ინასარიძე 2772516; gioinasaridze@yahoo.com
<b>მიმართულება: ინჟინერია</b>	
<b>სპეციალობა: საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია 0416</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალობით
მიზნები	<p>საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. აღნიშნული სპეციალობით ბაკალავრიატში სწავლების უმთავრესი მიზანია: საავიაციო სფეროს ფართო ცოდნის შეძენა, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს დაეუფლოს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პრაქტიკულ საქმიანობას; შეძენილი ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით გამყარება: თეორიული ცოდნისა და ტრანსფერული უნარების საფუძველზე საჰაერო ხომალდების მომსახურების ტექნოლოგიების დინამიკურ და სწრაფად ცვლად გარემოში ორიენტირება; მოვლენათა კომპლექსური ხედვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბება, პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება; შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი საავიაციო სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც მიეცემათ იმ თანამდებობებზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალობით.</p>
შედეგები	<p>ბაკალავრს აქვს საავიაციო სფეროს ფართო ცოდნა საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დარგში, რომელიც მოიცავს: საბუნებისმეტყველო საგნების ძირითადი ცნებების და მეთოდების ცოდნას საშუალო სირთულის ტექნიკური ამოცანების გადასაჭრელად; კომპიუტერული ტექნიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, დაპროექტების ავტომატიზებული სისტემების ცოდნას; საავიაციო ტექნიკის ტექნიკური ექსპლუატაციის სისტემაში შემავალი ობიექტების ზედამხედველობისა და კონტროლის, სახელმწიფო რეგულირებისა და მართვის საფუძვლების, ტექნიკური დოკუმენტაციისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნებისა (JAA, EASA,) და მათი წარმოების წესების ცოდნას; საჰაერო ხომალდების კონსტრუქციებისა და მათი შემადგენელი ელემენტების სიმტკიცესა და საიმედოობაზე ანგარიშის, კონსტრუქციული და საექსპლუატაციო თვისებების და მახასიათებლების დადგენის მეთოდების ცოდნას; საავიაციო ტექნიკის ობიექტების ექსპლუატაციის პროცესის პროგრამული და ოპერატიული მართვის მეთოდების ცოდნას; გაზომვების ტექნიკური საშუალებების, მათი მეტროლოგიური მახასიათებლების, ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის საფუძვლების, თანამედროვე ელექტრო-, რადიო-, და საავიაციო მოწყობილობების ძირითადი სახეების და მახასიათებლების ცოდნას; შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებისა და ნორმების ცოდნას.</p>

	<p>აქვს უნარი, მოახდინოს საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების მუშაუნარიანობის ანალიზი და შეფასება; საავიაციო ტექნიკის ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარი; ელექტრონულ დოკუმენტებთან, მონაცემთა ბაზებთან სრულყოფილად მუშაობის, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე დასკვნის გაკეთების უნარი; საწარმოო-პრაქტიკული საქმიანობის სიტუაციური ანალიზის საფუძველზე წამოჭრილი საკითხების ფორმულირებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების მომსახურების დროს რისკ-ფაქტორების სწორად აღქმის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარი; საჰაერო ხომალდების საექსპლუატაციო თვისებების შეფასების უნარი ICAO-ს მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>აქვს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე საკითხის გაგებისათვის განმარტებების ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი; თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ასევე საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციის თავისებურებების გათვალისწინებით პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარი; კვალიფიკაციის შესაბამისად იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშების მომზადების და პრეზენტაციის უნარი.</p> <p>აქვს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური ექსპლუატაციის მიმართულეებით ახლად შემუშავებული მეთოდების, ტექნოლოგიური სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის უწყვეტად განახლების უნარი; სხვადასხვა ტექნიკური წყაროების გამოყენებით ავიაციის სფეროში ინტერესების გაფართოებისა და ცალკეული საკითხების შესწავლის უნარი;</p> <p>მიღებული ცოდნის საფუძველზე, შეუძლია განსაზღვროს სწავლის გაგრძელების შემდგომი საჭიროება; გაითავისოს საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროს ფასეულობები და ღირებულებები; გამოიმუშაოს როგორც პროფესიული ღირებულებები (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვ.), ასევე მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვის პასუხისმგებლობის გრძნობა.</p>
კრედიტები	2 4 0
საკონტაქტო პირი	პროფესორი ანდრო მაისურაძე 593 97 19 71, a.maisuradze@ssu.edu.ge
<b>მიმართულება: ინჟინერია</b>	
<b>სპეციალიზაცია: საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაცია</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკურ ექსპლუატაციის სპეციალიზაციით
მიზნები	მოამზადოს ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალიზაციით, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ აღჭურვილი იქნება შესაბამისი ცოდნით და

	<p>უნარებით, დამოუკიდებლად და თავისუფლად შეძლოს საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესების სწორად დაგეგმვა და წარმართვა; შეასწავლოს საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის მიმართულებით არსებული საინჟინრო პრობლემების გადაჭრის თანამედროვე მეთოდები საავიაციო ტექნიკის საექსპლუატაციო ფაქტორების და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნების გათვალისწინებით. შეასწავლოს ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციაზე დამოუკიდებლად მუშაობა, საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების გამოძიების და ანალიზის მეთოდები.</p>
შედეგები	<p>მაგისტრს აქვს აქვს საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა საჰაერო ხომალდების საავიაციო ძრავების და მათი ფუნქციური სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის საქმეში ახალი იდეების შემუშავების, გაცნობიერებისა და განხორციელების მიზნით; კონსტრუქციების და პროცესების მოდელირების, ავტომატიზებული დაპროექტების სისტემების ცოდნა; საჰაერო ხომალდების კონსტრუქციებისა და მათი შემადგენელი ელემენტების სიმტკიცის, საიმედოობის, რესურსის ანგარიშის მეთოდების ცოდნა; საჰაერო ხომალდების და მათი ცალკეული ნაკეთობების ტექნიკური მდგომარეობის მართვის პროგრესული მეთოდების ცოდნა.</p> <p>მაგისტრს აქვს საჰაერო ხომალდების და საავიაციო ძრავების ტექნიკური მომსახურების სფეროს დამახასიათებელი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისათვის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების უნარი; მონაცემების მათემატიკური მოდელირების გამოყენებით დამოუკიდებლად ექსპერიმენტების განხორციელების უნარი; საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების შესრულების ყველა ეტაპზე, საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი; აქვს ავიასაწარმოს ყველა სამსახურის ურთიერთქმედების უზრუნველყოფის საფუძველზე, საჰაერო ხომალდების ფრენისათვის კომპლექსური მომზადების განხორციელების უნარი; საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი.</p> <p>მაგისტრს აქვს საჰაერო ხომალდების და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესში რისკ-ფაქტორების დროულად აღმოჩენისა და შეფასების უნარი; კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; აქვს საავიაციო ტექნიკის ფაქტობრივი მდგომარეობის სრული ინფორმაციის, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან ახალი და პერსპექტიული საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების მეთოდების შესახებ ინფორმაციის მოძიების და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნების გკეთების უნარი; აქვს საჰაერო ხომალდების, საავიაციო ძრავების და მათი ფუნქციური სისტემების, მიწისზედა და საფრენოსნო შემოწმების დროს, აღმოჩენილი ფაქტორების სწორად აღქმის, შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; აქვს საავიაციო შემთხვევების გამომწვევი ფაქტორების შეფასებისა და აღმოფხვრის უნარი.</p> <p>მაგისტრს აქვს იდეებისა და არსებული პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადების, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; აქვს დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში ჩართვის</p>

	<p>უნარი, შეუძლია მკაფიოდ ჩამოაყალიბოს აზრი, მის მიერ მომზადებულ კვლევის მეთოდებზე და შედეგებზე, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.</p> <p>აქვს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი; აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის, მიღებული ცოდნის საფუძველზე სწავლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების უნარი; აქვს საკაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროში პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრის უნარი; შეუძლია საკუთარი ცოდნის კრიტიკული შეფასება და პროფესიული უნარების სრულყოფა.</p> <p>აქვს ღირებულებებისადმი თავისი და სხვა პროფესიონალი სპეციალისტების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი; ითავსებს საკაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალისტის პროფესიულ და მორალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების უსაფრთხოების ღირებულებებზე; აქვს ადამიანური ღირებულებების დაცვის უნარი; მონაწილეობას იღებს ისეთი ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების უსაფრთხოება, და კეთილდღეობა; აქვს საკაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროში კვლევების ჩატარების, სამუშაოთა წარმოების ხარისხის, ეკოლოგიური და სიცოცხლის უსაფრთხოების ამაღლების ღონისძიებების, მათი გაუმჯობესებისათვის და დამკვიდრებისათვის ზრუნვის უნარია.</p>
კრედიტები	1 2 0
საკონტაქტო პირი	პროფესორი ანდრო მაისურაძე 593 97 19 71, a.maisuradze@ssu.edu.ge
<b>მიმართულება: ინჟინერია</b>	
<b>სპეციალობა: საკაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია 0416</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: საკაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	<b>ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი საკაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში</b>
მიზნები	<p>სამოქალაქო ავიაციის დარგში ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკაერო ტრანსპორტის საფრენოსნო-ტექნიკური ექსპლუატაციის ეფექტურობის ამაღლებისა და ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეს, ფრენის შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, როგორც სტანდარტულ ასევე საგანგებო სიტუაციებში.</p> <p>აღსანიშნავია, რომ საავიაციო შემთხვევებისა და კატასტროფების გამომწვევი მიზეზების 70 – 75 % არის ადამიანის ფაქტორი, 10 – 15 % საავიაციო ტექნიკის მტყუნება, 5 – 10 % კი გარემო პირობები. შესაბამისად საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხების შესწავლა მეცნიერული, თეორიული და ექსპერიმენტალური</p>

	<p>კვლევების მეთოდების შემუშავებით. განსაკუთრებით კი საჭაერო ხომალდების აფრენისა და დაფრენის ეტაპებზე.</p> <p>ასევე გასათვალისწინებელია, რომ ექსპერიმენტალური მეთოდების გამოყენება დაკავშირებულია ძალზედ დიდ ფინანსურ და რისკ ფაქტორებთან. ამიტომ დასმული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნეს საჭაერო ხომალდების ფრენის მათემატიკური მოდელები, რაც საშუალებას მოგვცემს მეცნიერულად საკმარისი სიზუსტით იქნეს შესწავლილი დასმული ამოცანები და მათ საფუძველზე შემუშავებულ იქნეს პრობლემის გადაწყვეტის მეთოდები.</p> <p>ყოველი აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს საჭაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი საჭაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დარგში, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების აქტიურად ათვისებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის შესრულების უნარი.</p>
შედეგები	<p>საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი რეალიზება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტების ძირითადი თავისებურებების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე.</p> <p>ინჟინრის აკადემიური ხარისხის მქონე დოქტორს აქვს: საჭაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა; მყარი ცოდნა და მეცნიერული კვლევების უნარი იმ რისკ ფაქტორებზე, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საჭაერო ტრანსპორტის ფრენების უსაფრთხოებაზე; საჭაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ოპტიმიზაციის თანამედროვე მეთოდების ცოდნა, რომელიც დამყარებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეთოდების და მოდელირების, ზუსტი და მიახლოებითი გაანგარიშების თეორიების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;</p> <p>დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს ინოვაციურ კვლევას. შეუძლია შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს საავიაციო შემთხვევების და კატასტროფების პრევენცია. პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად უნდა მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება. დასრულებული სადოქტორო პროგრამის შემდეგ ჩამოყალიბებულ უნდა იქნას დასკვნები და რეკომენდაციები საჭაერო ხომალდების ფრენის უსაფრთხოების ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით.</p> <p>მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია საჭაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სფეროში სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვა სრულფასოვნად და თეორიული ან გამოყენებითი ხასიათის კამათის წარმოება, რომელიც არსებული ცოდნის თვისობრივად გამდიდრებას უზრუნველყოფს; შეუძლია შექმნილი ცოდნის დასაბუთებულად და ლოგიკურად წარმოჩენა ინგლისურ ენაზე.</p> <p>უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.</p> <p>დოქტორანტურაში მიღებული თეორიული ცოდნისა და გამოიმუშავებული კვლევითი უნარების შედეგად, შეუძლია შეიმუშაოს ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევისა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების გამოყენების, პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვის უნარი.</p>
კრედიტები	180

საკონტაქტო პირი	პროფესორი სერგო ტეფნაძე 277 65 72, <a href="mailto:rector@ssu.edu.ge">rector@ssu.edu.ge</a>
<b>მიმართულება: ინჟინერია</b>	
<b>სპეციალობა: საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია 0416</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალობით
მიზნები	<p>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ფართო პროფილის საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციაში, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების პრაქტიკული საქმიანობის ასპექტებს; კურსდამთავრებულმა თეორიული ცოდნის საფუძველზე შეძლოს საავიაციო ტექნიკის მომსახურების ტექნოლოგიების დინამიურ და სწრაფად ცვლად გარემოში ორიენტირება; კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცებისა და პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევები; შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი საავიაციო სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც მიეცემათ იმ პოზიციებზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში; მიღებულმა ცოდნამ, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს მისცეს საშუალება სწავლა განაგრძოს მომდევნო საფეხურის (სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე.</p>
შედეგები	<p>ბაკალავრს ექნება ფართო ცოდნა საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროში, რომელიც მოიცავს ზოგადსაინჟინრო საგნების საფუძვლებს; კომპიუტერული ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნას; ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სისტემაში შემავალი მოწყობილობების ზედამხედველობისა და კონტროლის სახელმწიფო რეგულირების, ტექნიკური დოკუმენტაციისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნებისა და მათი წარმოების წესების ცოდნას; ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ექსპლუატაციის პროცესის პროგრამული და ოპერატიული მართვის მეთოდების ცოდნას; გაზომვების ტექნიკური საშუალებებისა და მათი მეტროლოგიური საფუძვლების ცოდნას; ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მუშაობის პრინციპებსა და რეგლამენტებს, ტექნიკური მომსახურების ტექნოლოგიას.</p> <p>ბაკალავრი, დარგის პრობლემების გადაჭრისა და მომავალი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების მიზნით შეძლებს: საავიაციო სფეროსათვის დამახასიათებელი, ასევე ზოგიერთი სპეციფიკური მეთოდის გამოყენებით პრობლემების გადაჭრას და პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებას, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ავიონიკისა და ელექტრული სისტემების პერიოდული და ოპერატიული ტექნიკური მომსახურების სამუშაოების დაგეგმვასა და შესრულებას; ელექტრო და რადიოელექტრონული მოწყობილობების შემოწმებას, დეფექტაციას, დაზიანებული დეტალებისა და კვანძების შეცვლას</p>



	<p>საექსპლუატაციო დოკუმენტაციის შესაბამისად; ტექნიკური ნახაზების და სქემების წაკითხვას.</p> <p>ბაკალავრს აქვს უნარი, გაანალიზოს ელექტრო და რადიოელექტრონული მოწყობილობების მუშაობა; საავიაციო ტექნიკის ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარი; ავიონიკისა და ელექტრული სისტემების საექსპლუატაციო თვისებების შეფასებას ICAO-ს მოთხოვნების შესაბამისად; ელექტრონულ დოკუმენტებთან და მონაცემთა ბაზებთან სრულყოფილად მუშაობის მათი გაანალიზების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარი.</p> <p>ბაკალავრს აქვს კომუნიკაციის უნარი, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე, საკითხის გაგებისათვის განმარტებების ჩამოყალიბება; თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ასევე ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის თავისებურებების გათვალისწინებით პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარი; კვალიფიკაციის შესაბამისად იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშების მომზადება და პრეზენტაცია.</p> <p>ბაკალავრს აქვს ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მიმართულებით ახლად შემუშავებული მეთოდების, ტექნოლოგიური სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის უწყვეტად განახლების უნარი; ავიაციის სფეროში სხვადასხვა ტექნიკური წყაროების გამოყენებით ინტერესების გაფართოებისა და ცალკეული საკითხების შესწავლის უნარი. ბაკალავრს მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროება.</p> <p>ბაკალავრს შეუძლია გაითავისოს საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროს ფასეულობები და ღირებულებები; მონაწილეობა მიიღოს დარგისთვის დამახასიათებელი ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში.</p>
კრედიტები	2 4 0
საკონტაქტო პირი	ასოცირებული პროფესორი რობერტ ებრალიძე 277-31-47; 245-80-46
<b>მიმართულება: ინჟინერია</b>	
<b>სპეციალიზაცია: საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაცია 041602</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალიზაციით
მიზნები	მომზადდეს მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკურ ექსპლუატაციაში, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ექნება შესაბამისი ცოდნა და უნარები, დამოუკიდებლად და თავისუფლად შესძლოს საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და

	<p>ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესების სწორად დაგეგმვა და წარმართვა; მაგისტრმა შეისწავლოს საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკურ ექსპლუატაციაში არსებული საინჟინრო პრობლემების გადაჭრის თანამედროვე მეთოდები, საავიაციო ტექნიკის საექსპლუატაციო ფაქტორების გათვალისწინებით და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.</p>
შედეგები	<p>მაგისტრს აქვს საჰაერო ხომალდების, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნა ახალი იდეების შემუშავების, გაცნობიერებისა და განხორციელების მიზნით; აქვს საჰაერო ხომალდების, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურების კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა; აცნობიერებს საჰაერო ხომალდების, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზებს.</p> <p>მაგისტრს აქვს სამოქალაქო ავიაციის დარგში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; აქვს საჰაერო ხომალდების, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურებისათვის დამახასიათებელი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის, ორიგინალური გზების ძიებისა და შესასრულებელ სამუშაოთა დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; დამოუკიდებლად შეუძლია ექსპერიმენტების დაგეგმვა, ანალიზი, მონაცემების მათემატიკური მოდელირების გამოყენებით; შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების შესრულების ყველა ეტაპზე; აქვს საჰაერო ხომალდების, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის, რემონტის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი, საექსპლუატაციო და სარემონტო დოკუმენტაციის მოთხოვნაა შესაბამისად.</p> <p>მაგისტრს აქვს საავიაციო ტექნიკის ფაქტობრივი მდგომარეობის სრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; აქვს სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან ახალი და პერსპექტიული საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების მეთოდების შესახებ ინფორმაციის მოძიების და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; აქვს საჰაერო ხომალდების, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის დროს, რისკ ფაქტორების სწორად აღქმის, შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.</p> <p>აქვს დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაციის უნარი აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე; აქვს ქართულ და ინგლისურ ენებზე იდეებისა და არსებული პრობლემების გადაჭრის გზების დამოუკიდებლად დეტალური ანგარიშის მომზადების, ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის, აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი; აქვს დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღების უნარი. შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად იმსჯელოს თავის მომზადებულ დასკვნებსა და კვლევის მეთოდებზე; შეუძლია დამოუკიდებლად საქმიანი დოკუმენტაციის შედგენა და დაცვა საავიაციო ტერმინოლოგიის გამოყენებით.</p> <p>მაგისტრს აქვს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; აქვს საფუძველი საკუთარი სწავლის პროცესის ფუნდამენტალურად და სტრატეგიულად</p>

	<p>დაგეგმვის შეფასების უნარი; საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვას; შეუძლია პროფესიული უნარების სრულყოფა; უნარი აქვს განსაზღვროს სწავლის გაგრძელების საჭიროება უმაღლესი აკადემიური განათლების შემდგომ საფეხურზე.</p> <p>მაგისტრს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვა პროფესიონალი სპეციალისტების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; კურსდამთავრებულს აქვს ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით მოქმედების უნარი. ითავისებს ავიატორის პროფესიულ და ეთიკურ პასუხისმგებლობას საზოგადოების უსაფრთხოების ღირებულებებზე; გათავისებული აქვს ეკოლოგიური სისტემების პატივისცემისა და გარემოს დაცვის ვალდებულებები; აქვს ადამიანური ღირებულებების დაცვის უნარი; მონაწილეობას იღებს ისეთი ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების უსაფრთხოება, და კეთილდღეობა; შეუძლია მოამზადოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის სპეციალისტი დარგში ღირსეული კარიერისთვის, რომელიც მოტივირებული იქნება მეტს მიაღწიოს პროფესიული მომზადების თვალსაზრისით.</p>
კრედიტები	1 2 0
საკონტაქტო პირი	ასოცირებული პროფესორი რობერტ ებრალიძე 277-31-47; 245-80-46
<b>მიმართულება: ინჟინერია</b>	
<b>სპეციალობა: საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია 0416</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიის სპეციალობით
მიზნები	<p>პროგრამის მიზანია: კურსდამთავრებულს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ფართო პროფილის ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკურ ექსპლუატაციაში, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების პრაქტიკული საქმიანობის ასპექტებს; კურსდამთავრებულმა თეორიული ცოდნის საფუძველზე შეძლოს საავიაციო ტექნიკის მომსახურების ტექნოლოგიების დინამიურ და სწრაფად ცვლად გარემოში ორიენტირება; კურსდამთავრებულმა შეძლოს სფეროსათვის დამახასიათებელი პრობლემების გადაჭრა; კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდეს მოვლენათა კომპლექსური ხედვა, კურსდამთავრებულმა შეძლოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცება და შეიძინოს პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევები; შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი საავიაციო სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც მიეცემათ იმ პოზიციებზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში. მიღებულმა</p>

	<p>ცოდნამ, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს მისცეს საშუალება სწავლა განაგრძოს მომდევნო საფეხურის (სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე;</p>
შედეგები	<p>ბაკალავრს ექნება ფართო ცოდნა ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროში, რომელიც მოიცავს: ზოგადსაინჟინრო საგნების საფუძვლებს; კომპიუტერული ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნას; ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის სისტემაში შემავალი მოწყობილობების ზედამხედველობისა და კონტროლის სახელმწიფო რეგულირების, ტექნიკური დოკუმენტაციისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნებისა და მათი წარმოების წესების ცოდნას; ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის პროცესის პროგრამული და ოპერატიული მართვის მეთოდების ცოდნას; გაზომვების ტექნიკური საშუალებებისა და მათი მეტროლოგიური საფუძვლების ცოდნას; ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების მუშაობის პრინციპებისა და რეგლამენტების, ტექნიკური მომსახურების ტექნოლოგიური პროცესების ცოდნას.</p> <p>ბაკალავრი დარგის პრობლემების გადაჭრისა და მომავალი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების მიზნით შეძლებს: საავიაციო სფეროსათვის დამახასიათებელი, ასევე ზოგიერთი სპეციფიკური მეთოდის გამოყენებით პრობლემების გადაჭრას და პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების პერიოდული და ოპერატიული ტექნიკური მომსახურების სამუშაოების დაგეგმვასა და შესრულებას; ელექტრო და რადიოელექტრონული მოწყობილობების შემოწმებას დეფექტაციას, დაზიანებული დეტალებისა და კვანძების შეცვლას საექსპლუატაციო დოკუმენტაციის შესაბამისად; ტექნიკური ნახაზების და სქემების წაკითხვას.</p> <p>ბაკალავს აქვს უნარი, გააანალიზოს ელექტრო და რადიოელექტრონული მოწყობილობების მუშაობა; საავიაციო ტექნიკის ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარი; მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების საექსპლუატაციო თვისებების შეფასებას ICAO-ს მოთხოვნების შესაბამისად; ელექტრონულ დოკუმენტებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის მათი გააანალიზების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარი.</p> <p>ბაკალავრს აქვს: კომუნიკაციის უნარი, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე, საკითხის გაგებისათვის განმარტებების ჩამოყალიბება; თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ასევე ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის თავისებურებების გათვალისწინებით პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარი; კვალიფიკაციის შესაბამისად იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშების მომზადება და პრეზენტაცია.</p> <p>ბაკალავრს აქვს: ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების მიმართულეებით ახლად შემუშავებული მეთოდების, ტექნოლოგიური სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის უწყვეტად განახლების უნარი; ავიაციის სფეროში სხვადასხვა ტექნიკური წყაროების გამოყენებით ინტერესების გაფართოებისა და ცალკეული საკითხების შესწავლის უნარი. ბაკალავრს მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროება.</p>

	<p>ბაკალავრს შეუძლია: გაითავისოს ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროს ფასეულობები და ღირებულებები; მონაწილეობა მიიღოს დარგისთვის დამახასიათებელი ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში.</p>
<p>კრედიტები</p>	<p>2 4 0</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>ასოცირებული პროფესორი რობერტ ებრალიძე 277-31-47; 245-80-46</p>
<p><b>მიმართულება: ინჟინერია</b></p>	
<p><b>სპეციალობა: ინფორმატიკა</b></p>	
<p><b>საგანმანათლებლო პროგრამა: ინფორმაციული ტექნოლოგიები და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემები</b></p>	
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინფორმატიკის სპეციალობით</p>
<p>მიზნები</p>	<p>პროგრამის მიზანია: კურსდამთავრებულს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ფართო პროფილის კომპიუტერული სისტემებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების, ფრენის მართვის კონტროლისავტომატიზებული სისტემების მიმართულებების მიხედვით, რომელიც შეძლებს კომპიუტერული მეცნიერების ტექნოლოგიური ნაწილისა და საავიაციო ტექნიკის სწრაფ და დინამიურად ცვლად გარემოში ორიენტირებას; შესძინოს ცოდნა, რის საფუძველზეც ბაკალავრს შეეძლება თანამედროვე კომპიუტერული სისტემების, კომპიუტერული ქსელების, ფრენის მართვის კონტროლის ავტომატიზებული სისტემების, ფრენის ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების სისტემების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დამოუკიდებელი ექსპლუატაცია და სერვისული მომსახურება.დარგობრივ ცოდნასთან და უნარებთან ერთად, სტუდენტი შეძლებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას, რომელიც მას დაეხმარება საზოგადოებაში და პროფესიონალურ ასპარეზზე წარმატების მიღწევაში.</p>
<p>შედეგები</p>	<p>ბაკალავრს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს: კომპიუტერის და ზოგადად ციფრული სისტემების ტიპური ფუნქციური კვანძების და მოწყობილობების ფუნქციონირების პრინციპებისა და ექსპლუატაციის წესების ცოდნას; ალგორითმების აგების მეთოდების, თანამედროვე პროგრამირების ასპექტების, პროგრამირების საბაზისო ენების, ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების პრინციპების ცოდნას. კომპიუტერული ქსელების აგებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპების, მიკროპროცესორული სისტემების აგების პრინციპების და მეთოდების ცოდნას. თანამედროვე საბორტო კომპიუტერებისა და სისტემების, ფრენის მართვის კონტროლის ავტომატიზებული სისტემების(ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემები, ფრენის პარამეტრების რეგისტრაციისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემები) ფუნქციონირების და აგების პრინციპების, ფრენის ინფორმაციის რეგისტრაციის და ავტომატიზებული დამუშავების მეთოდების ცოდნას.</p> <p>ბაკალავრი შეძლებს: კომპიუტერული სისტემების და ქსელების, ფრენის მართვის კონტროლის ავტომატიზებული სისტემების</p>

	<p>მოწყობილობებში წარმოშობილი უწყისივრობებისა და მტყუნებების გამოვლენას, ლოკალიზებას და აღმოფხვრას, ტესტური კონტროლისა და პროგრამულ -ლოგიკური მეთოდების გამოყენებით; ნებისმიერი ციფრული სისტემების მოწყობილობების ელექტრული პრინციპული სქემის წაკითხვას და დოკუმენტაციის გარჩევას; კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების, ფრენის მართვის კონტროლის ავტომატიზებული სისტემების დამოუკიდებელ ექსპლუატაციას, სერვისულ მომსახურებას და გამართვას.</p> <p>ობიექტებისათვის მონაცემთა ბაზების დაპროექტებას და მათთვის საინფორმაციო სისტემების შემუშავებას.</p> <p>ბაკალავრს აქვს: უნარი მოახდინოს კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების, ფრენის მართვის კონტროლის ავტომატიზებული სისტემების მუშაობისუნარიანობის ანალიზი და შეფასება; კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებში, ფრენის მართვის კონტროლის ავტომატიზებულ სისტემებში შეკრებილი ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე დასკვნის გაკეთების უნარი; კომპიუტერულ სისტემებისა და ქსელების, ფრენის მართვის კონტროლის ავტომატიზებული სისტემების მომსახურების დროს რისკ-ფაქტორების სწორად აღქმის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარი.</p> <p>ბაკალავრს აქვს: საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი; არსებულ სიტუაციაში საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის და დაცვის უნარი; კვალიფიკაციის შესაბამისად იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშების მომზადების და პრეზენტაციის უნარი.</p> <p>ბაკალავრს აქვს: ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის კონტროლის ავტომატიზებული სისტემების მიმართულებით ახლად შემუშავებული მეთოდების ტექნოლოგიური სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის უწყვეტად განახლების უნარი. სპეციალობის მიხედვით მისთვის საჭირო კონკრეტული საკითხების შესასწავლად უახლოესი ლიტერატურის დამუშავების უნარი; ბაკალავრს, მიღებული ცოდნის საფუძველზე, შეუძლია განსაზღვროს სწავლის გაგრძელების შემდგომი საჭიროება.</p> <p>ბაკალავრს შეუძლია: გაითავისოს ინფორმაციული ტექნოლოგიების და ფრენის მართვის კონტროლის ავტომატიზებული სისტემების ფასეულობები და ღირებულებები; გამოიმუშაოსპროფესიული ღირებულებების,მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვის პასუხისმგებლობის გრძნობა.</p>
კრედიტები	2 4 0
საკონტაქტო პირი	პროფესორი დემურ ვეფხვაძე 266-04-84, 593-12-07-88. <a href="mailto:d.vepkhvadze@mail.ru">d.vepkhvadze@mail.ru</a>
<b>მიმართულება: ინჟინერია</b>	
<b>სპეციალიზაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიები</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: ინფორმაციული ტექნოლოგიები და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემები</b>	
მისანიჭებელი	ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალიზაციით

კვალიფიკაცია	
მიზნები	<p>მომზადდეს ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალიზაციით, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ინფორმაციული ტექნოლოგიების ძირეულ კომპონენტებში (კომპიუტერული სისტემები და ქსელები , ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება, მართვის მიკროკონტროლერული და ინტელექტუალური სისტემები, დაპროგრამების თანამედროვე ენები) შეძენილი საფუძვლიანი თეორიული ცოდნის საფუძველზე შეძლებს დამოუკიდებლად წარმართოს კვლევითი, პედაგოგიური ან საწარმო-პრაქტიკული სამუშაოები ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, გამოიმუშაოს მიღებული ცოდნის შემოქმედებითი და ეფექტური გამოყენებისათვის აუცილებელი უნარები; ჩამოუყალიბოს სტუდენტს მაღალი დონის პროფესიული საქმიანობისა და სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად წარმართვისათვის აუცილებელი უნარები.</p>
შედეგები	<p>მაგისტრს აქვს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში ღრმა და სისტემური ცოდნა, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების, გაცნობიერებისა და განხორციელების მიზნით; აქვს კომპიუტერული სისტემისა და ქსელების დაპროექტების, მათი ოპტიმიზაციის მეთოდების და მეცნიერული ანალიზის სიღრმისეული ცოდნა; აქვს მოძრავი ობიექტის მართვის, მართვის მიკროკონტროლერული და საბორტო ინტელექტუალური სისტემების, გადაწყვეტილებათა მიღების კომპიუტერული მხარდაჭერითი სისტემების აგებისა და ფუნქციონირების პრინციპების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა; აქვს ცოდნა ავტომატური მართვის სისტემებისა და გადაწყვეტილებათა მიღების თეორიების ძირითადი დებულებების და საკითხების შესახებ, რომელთა ერთიან სისტემაში წარმოდგენა და განხილვა შემდგომში განაპირობებს მართვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მხარდაჭერის ინტელექტუალური სისტემების დამუშავებისა და შექმნის პროცესის სწორად დაგეგმვის ორგანიზაციის უზრუნველყოფას და რეალიზაციას; აქვს ინფორმატიკოსის პროფესიის სოციალური მნიშვნელობის გაცნობიერების უნარი და პროფესიული საქმიანობის განხორციელების მაღალი მოტივაცია.</p> <p>მაგისტრს შეუძლია კომპიუტერული სისტემებისა და ქსელებთან, მართვის მიკროკონტროლერულ და საბორტო ინტელექტუალურ სისტემებთან, საჰაერო-საპილოტაჟო სანავიგაციო სისტემებთან მუშაობა. მათი ექსპლუატაცია; დამოუკიდებლად შეუძლია მართვის სისტემების, კერძოდ კი ფრენის მართვის სისტემების ფუნქციონირებისას პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა; კვლევის შედეგების მიხედვით რეკომენდაციების შედგენა და ამ რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენება; წამოჭრილი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტის მიზნით სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო სამუშაოების ჩატარების დასაბუთება, მეთოდის დამუშავება და ამ მეთოდის მიხედვით პრაქტიკული სამუშაოს შესრულება.</p> <p>მაგისტრს შეუძლია: თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით სამეცნიერო და საწარმო-პრაქტიკული საქმიანობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გადასაწყვეტი ამოცანების ფორმულირება, მათი გადაჭრის მეთოდებისა და საშუალებების დადგენა; რთული ან არამკაფიო და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლოესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული და მაღალი სანდოობის დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობასა და შედეგებზე დასკვნის გამოტანის უნარი სოციალური, პროფესიული და ეთიკური პოზიციების გათვალისწინებით; აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის, სინთეზის, პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი; შესაბამისი სამეცნიერო, პროფესიული, სოციალური და ეთიკური პრობლემებიდან დასკვნების ჩამოსაყალიბებლად საჭირო თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ინტერპრეტირების უნარი.</p> <p>მაგისტრს აქვს საკუთარი დასკვნების არგუმენტაციისა და კვლევების შედეგების სპეციალისტებისათვის სრულყოფილად მიწოდების უნარი, ქართულ და ინგლისურ ენაზე, როგორც წერილობით ისე ზეპირად; აქვს ქართულ და ინგლისურ ენაზე იდეებისა და არსებული პრობლემების გადაჭრის გზების დამოუკიდებლად დეტალური ანგარიშის მომზადების, ინფორმაციის მიწოდებისა და</p>

	<p>გაცვლის, ზეპირად გადაცემის უნარი აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან; აქვს დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღების უნარი. შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს თავის მომზადებულ დასკვნებსა და კვლევის მეთოდებზე.</p> <p>მაგისტრს აქვს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, ამ პროცესის თავისებურებათა გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი; აქვს საფუძველი საკუთარი სწავლის პროცესის ფუნდამენტალურად და სტრატეგიულად დაგეგმვის მრავალმხრივად შეფასების უნარი; შეუძლია საკუთარი ცოდნის კრიტიკული შეფასება და პროფესიული უნარების სრულყოფა; აქვს მიზანმიმართული სწავლის საფუძველზე შემოქმედებითი და ინოვაციური საქმიანობის ორგანიზების უნარი; საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის პროცესის გაგრძელებას სწავლების შემდგომ საფეხურზე.</p> <p>მაგისტრს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვა პროფესიონალი სპეციალისტების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; იცავს და ცხოვრებაში ატარებს პროფესიული ღირებულებების ეთიკისა და ზნეობის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს. აქვს პროფესიული ღირებულებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასების უნარი. იცავს საერთაშორისო და დარგობრივ ტექნიკურ ნორმებსა და სტანდარტებს, ზრუნავს სამუშაო პროცესის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაზე; მოტივირებულია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის საფუძველზე მიაღწიოს დარგში ღირსეულ კარიერას პროფესიული მომზადების თვალსაზრისით; მონაწილეობას იღებს ისეთი ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების უსაფრთხოება და კეთილდღეობა.</p>
კრედიტები	1 2 0
საკონტაქტო პირი	პროფესორი დემურ ვეფხვაძე 266-04-84, 593-12-07-88. <a href="mailto:d.vepkhvadze@mail.ru">d.vepkhvadze@mail.ru</a>
<b>მიმართულება: ინჟინერია</b>	
<b>სპეციალიზაცია: საფრენი აპარატების კონსტრუირება და წარმოება 040804</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საფრენი აპარატების კონსტრუირებისა და წარმოების სპეციალიზაციით
მიზნები	<p>პროგრამის მიზანია მოამზადოს საფრენი აპარატების კონსტრუირებისა და წარმოების მაგისტრი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, აღჭურვილი იქნება შესაბამისი ცოდნით და უნარებით, დამოუკიდებლად და თავისუფლად შეძლებს საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების პროცესების სწორად წარმართვას; ეცოდინება საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების დარგში არსებული ურთულესი საინჟინრო პრობლემების გადაჭრის თანამედროვე მეთოდები, დაპროექტების ავტომატიზებული საშუალებები, თანამედროვე და პერსპექტიული მასალები და ტექნოლოგიური პროცესები; შეისწავლის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციაზე დამოუკიდებლად მუშაობას და საავიაციო ტექნიკის ხარისხზე, საიმედოობასა და ეკონომიურობაზე ორიენტირებულ საპროექტო და ტექნოლოგიურ პროცედურებს; ჩამოუყალიბდება შესაბამის ფორმატში აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი.</p>
შედეგები	<p>მაგისტრს აქვს საფრენი აპარატების კონსტრუირებისა და წარმოების დარგში ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას; საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების კონცეფციების,</p>



	<p>თეორიებისა და პრინციპების საფუძვლიან ცოდნას; საფრენი აპარატების კონსტრუქციისა და სისტემების რისკ-ფაქტორების სწორად განსაზღვრისა და შეფასების უნარს; საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერების უნარს; საპროექტო და ტექნოლოგიური სამუშაოების სწორად დაგეგმვის და მაღალ დონეზე წარმართვის უნარს; საავიაციო ტექნიკისა და მისი წარმოებისათვის დამახასიათებელი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარს;</p> <p>მაგისტრს დამოუკიდებლად შეუძლია ექსპერიმენტების დაგეგმვა, მონაცემების მათემატიკური და სტატისტიკური დამუშავება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; აქვს საფრენი აპარატებისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით, საერთაშორისო ნორმების, რეკომენდაციებისა და წესების დაცვით სამუშაოთა დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების დამოუკიდებლად მართვის უნარი.</p> <p>მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობა საავიაციო ტექნიკის დაპროექტებისა და წარმოების ყველა ეტაპზე; აქვს სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან ახალი და პერსპექტიული ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მოძიების და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; საფრენი აპარატის, მისი სისტემების დაპროექტების, მიწისზედა და საფრენოსნო გამოცდების დროს რისკ-ფაქტორების სწორად აღქმის, შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.</p> <p>მაგისტრს აქვს უნარი მოახდინოს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენაზე; ქართულ და ინგლისურ ენაზე იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით დეტალური ანგარიშის დამოუკიდებლად მომზადების, ინფორმაციის აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირად გადაცემის უნარი; აქვს დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღების უნარი. შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს თავის მომზადებულ დასკვნებსა და კვლევის მეთოდებზე, ასევე სხვადასხვა თემებზე; შეუძლია დამოუკიდებლად საქმიანი დოკუმენტის შედგენა საავიაციო და ტექნოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით.</p> <p>აქვს საკუთარი სწავლის პროცესის ფუნდამენტალურად და სტრატეგიულად დაგეგმვის მრავალმხრივად შეფასების, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარი; საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიღებული ცოდნის საშუალებით შესძლებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვას და წარმართვას; სწავლის პროცესის გაგრძელებას სწავლების შემდგომ საფეხურზე; შეუძლია საკუთარი ცოდნის კრიტიკული შეფასება და პროფესიული უნარების სრულყოფა.</p> <p>მაგისტრს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>
კრედიტები	120
საკონტაქტო პირი	პროფესორი გელა ყიფიანი 599 10 62 63; 234 25 71; <a href="mailto:gelakip@gmail.com">gelakip@gmail.com</a>

# მიმართულება: ინჟინერია

სპეციალობა: მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია 0408

საგანმანათლებლო პროგრამა: საფრენი აპარატების დაპროექტება

მისანიჭებელი  
კვალიფიკაცია

ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში

მიზნები

საფრენი აპარატების დაპროექტებასა და წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციული კომპოზიციური მასალების გამოყენების საკითხს, რომელიც ქმნის მკვლევართა წინაშე მთელ რიგ რთულ პრობლემებს. ამ პრობლემათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიმტკიცეზე გაანგარიშების მეთოდების შემუშავებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ის განსაკუთრებული თვისებები კომპოზიციური მასალებისა, რომელიც განასხვავებს მათ ჩვეულებრივი ტრადიციული მასალებისაგან. სწორედ ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელსაც მკვლევარები იჩენენ კომპოზიციური კონსტრუქციის გაანგარიშების დროს. პრობლემას ის ართულებს, რომ ნებისმიერ პოლიმერულ-კომპოზიციურ მასალაში დატვირთვის გავლენით (ჩვეულებრივ ტემპერატურაზე) ვითარდება დროის მიხედვით ისეთი დეფორმაციები, რომლებიც იცვლებიან როგორც წრფივი, ასევე არაწრფივი კანონით. ასეთი სახის დეფორმაციების გაუთვალისწინებლობა კონსტრუქციის გაანგარიშებისას გამოიწვევს კატასტროფულ შედეგებს.

თუ ასეთი მასალების აღნიშნულ უარყოფით თვისებებს მოვაქვევთ მყარ საზღვრებში და წინ წამოვწევთ მათში არსებულ მრავალ დადებით თვისებას, მაშინ ცხადი გახდება იმ დიდი ინტერესის აზრი, რასაც მკვლევარები იჩენენ კომპოზიციური მასალებისაგან დამზადებული კონსტრუქციის მიმართ. კერძოდ, დადგინდეს დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის სქემა, დადასტურდეს თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ადექვატურობა. შედეგები და რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნას თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების საანგარიშოდ, ამ კონსტრუქციებში მიმდინარე დინამიკური პროცესების კვლევისათვის.

შედეგები

დოქტორს აქვს მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციებისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება; თვითმფრინავის ძირითადი აგრეგატების (ფრთა, ფიუზელაჟი, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ფრთასხმულობა) მზიდი კარკასების და შემონაკერების კონსტრუქციების დასამზადებლად გამოყენებული ტრადიციულისაგან განსხვავებული ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლების მქონე მასალებზე ისეთი ცოდნა, რომელიც დამყარებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე; სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მეთოდების და მოდელირების, ზუსტი და მიახლოებითი გაანგარიშების თეორიების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიისთვის დამახასიათებელი თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების სტატიკური და დინამიკური ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა.

დოქტორს შეუძლია მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში საანგარიშო სქემებისა და მოდელების შექმნა; შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად დასახოს სწორი და ეფექტური კომპლექსური ღონისძიებები კვლევის რელევანტური მეთოდებისა და მოდელირების

	<p>თეორიების გამოყენებით; შეუძლია საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების პროცესების ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შეუძლია საინჟინრო მეცნიერებაში შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული.</p> <p>დოქტორანტს შეუძლია მექანიკის ინჟინერისა და ტექნოლოგიაში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომის კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, არსებული რთული პრობლემების ახლებური ახსნის დამოუკიდებლად ძიება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</p> <p>დოქტორანტს შეუძლია მიღებული ცოდნის საფუძველზე მექანიკის ინჟინერისა და ტექნოლოგიაში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვა სრულფასოვნად და თეორიული ან გამოყენებითი ხასიათის კამათის წარმოება, რომელიც არსებული ცოდნის თვისობრივად გამდიდრებას უზრუნველყოფს; საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა ქართულ და ინგლისურ ენებზე.</p> <p>დოქტორანტს შეუძლია შეისწავლოს თანამედროვე მეთოდები და მიდგომები საფრენი აპარატების კონსტრუქციების, მათი ძირითადი აგრეგატების და კომპონენტების როგორც წყვეტილპარამეტრებიანი, თხელკედლიანი სივრცითი სისტემების გაანგარიშების და დაპროექტების მიზნით; უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.</p> <p>დოქტორანტურაში მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული კვლევითი უნარების შედეგად, შეუძლია დამკვიდრებული ღირებულებებისგან განსხვავებით შეიმუშაოს თანამედროვე საფრენი აპარატების დაპროექტების და მათი წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მრავალპარამეტრიანი ამოცანების ამოხსნის და შედეგების ოპტიმიზაციის ინოვაციური მეთოდები.</p>
კრედიტები	180
საკონტაქტო პირი	პროფესორი გელა ყიფიანი 599 10 62 63; 234 25 71; <a href="mailto:gelakip@gmail.com">gelakip@gmail.com</a>

მიმართულება : ინჟინრებია

სპეციალობა: მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია

საგანმანათლებლო პროგრამა: დაპროექტება და წარმოება

მინიჭებული  
კვალიფიკაცია

ინჟინერის ბაკალავრის ხარისხი მექანიკის ინჟინერიაში და ტექნოლოგიაში

მიზნები

უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად „საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია საფრენი აპარატების დაპროექტების, კონსტრუირების, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისა და წარმოების ორგანიზაციის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. აღნიშნული სპეციალობით ბაკალავრიატში სწავლების უმთავრესი მიზანია: • საავიაციო სფეროს ფართო ცოდნის შეძენა, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს დაეუფლოს საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების პრაქტიკულ საქმიანობას; • შეძენილი ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით გამყარება; თეორიული ცოდნისა და ტრანსფერული უნარების, საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების ტექნოლოგიების დინამიურ და სწრაფად ცვლად გარემოში ორიენტირება; • მოვლენათა კომპლექსური ხედვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბება, პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება; • შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც მიეცემათ იმ თანამდებობებზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიაში და ტექნოლოგიაში.

შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი რეალიზება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების ძირითადი თავისებურებების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე. კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

ბაკალავრს აქვს ფართო ცოდნა საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების სფეროში, რომელიც მოიცავს: - საბუნებისმეტყველო საგნების ძირითადი ცნებების და მეთოდების ცოდნას საშუალო სირთულის ტექნიკური ამოცანების გადასაჭრელად; - კომპიუტერული უნარების, დაპროექტების ავტომატიზებული სისტემების მყარ ცოდნას; - საავიაციო მრეწველობის ობიექტების ზედამხედველობისა და კონტროლის, სახელმწიფო რეგულირებისა და მართვის საფუძველების, ტექნიკური დოკუმენტაციისადმი და საკუთრივ საფრენი აპარატებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნების (FAR, JAR) და მათი წარმოების წესების ცოდნას და მათ კომპლექსურ გაცნობიერებას; - საფრენი აპარატების კონსტრუქციების და სისტემების, მათი შემადგენელი ელემენტების სიმტკიცესა და საიმედოობაზე ანგარიშის, კონსტრუქციული და საექსპლუატაციო თვისებების ცოდნას, მათ შესახებ თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და მახასიათებლების დადგენის მეთოდების ცოდნას; - გაზომვების ტექნიკური საშუალებების, მათი მეტროლოგიური მახასიათებლების, თანამედროვე ელექტროტექნიკური და ელექტრონული საავიაციო მოწყობილობების ძირითადი სახეების და მახასიათებლების ცოდნას; - საფრენი აპარატების კონსტრუქციების, სისტემების, დეტალების, კვანძების, ნაკვეთურების დამზადების და აწყობის პროცესების ორგანიზების წესების ცოდნას; - შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებისა და ნორმების ცოდნას.

ბაკალავრს შეუძლია: - საფრენი აპარატების დაპროექტებისა და კონსტრუქციების პროცესში წამოჭრილი სპეციფიკური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება; - საფრენი აპარატების და მათი სისტემების პროექტების დამუშავება, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება და წარმართვა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; - ტექნოლოგიური აღჭურვილობის, მეტროლოგიური სისტემების დაკომპლექტება, გამართვა და სამუშაოდ მომზადება; - ტექნიკური ნახაზების და სქემების წაკითხვა; - საფრენი აპარატის და მისი ფუნქციური სისტემების მიწისზედა და საფრენოსნო გამოცდების მოსამზადებლად კომპლექსური სამუშაოების შესრულება.

ბაკალავრს აქვს უნარი: - საფრენი აპარატების დაპროექტებასა და წარმოებაში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ჩამოაყალიბოს დასაბუთებული დასკვნა; - სტანდარტული და ზოგჯერ გამორჩეული მეთოდით ელექტრონულ დოკუმენტებთან, მონაცემთა ბაზებთან სრულყოფილად მუშაობის, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე მოამზადოს დასკვნა; ბაკალავრს შეუძლია: - საწარმოო-პრაქტიკული საქმიანობის სიტუაციური ანალიზი; - საფრენი აპარატების, ტექნოლოგიური აღჭურვილობის მომსახურების დროს რისკ-ფაქტორების სწორად აღქმის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთება; - საფრენი აპარატების საექსპლუატაციო თვისებების შეფასება და ტექტიკურ-ტექნიკურ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დადგენა. კომუნიკაციის უნარი ბაკალავრს აქვს: - საფრენი აპარატების დაპროექტების და კონსტრუქციების თავისებურებების გათვალისწინებით თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; - კვალიფიკაციის შესაბამისად იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშების მომზადების და პრეზენტაციის უნარი როგორც სპეციალისტებისათვის, ისე არასპეციალისტებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე. სწავლის უნარი ბაკალავრს აქვს: - საფრენი აპარატების

	<p>დაპროექტების და წარმოების სფეროში ახლად შემუშავებული და პერსპექტიული მეთოდების, ტექნოლოგიური სიახლეების მიღწევისა და ცოდნის უწყვეტად განახლების უნარი; - ავიაშენებლობის სფეროში ინტერესების გაფართოებისა და ცალკეული საკითხების შესწავლის უნარი; ბაკალავრს, მიღებული ცოდნის საფუძველზე, შეუძლია განსაზღვროს სწავლის გაგრძელების შემდგომი საჭიროება. ღირებულებები ბაკალავრს შეუძლია: - განსაზღვროს საფრენი აპარატების დაპროექტების, კონსტრუირების და წარმოების სფეროს ფასეულობები და ღირებულებები; - გამოიმუშაოს როგორც პროფესიული ღირებულებები (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვ.), ასევე მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვისა და პასუხისმგებლობის გრძნობა; - მონაწილეობა მიიღოს დარგისთვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში და მათ დამკვიდრებაში</p>
კრედიტები	240
საკონტაქტო პირი	ვალერი მიქაძე 599 25 75 58      valeri.mikadze@ssu.edu.ge

**მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება**

სპეციალობა: მენეჯმენტი 0203

საგანმანათლებლო პროგრამა: საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯმენტის სპეციალობით

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მიზნები უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროში კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც საბაზრო კონკურენციის პირობებში მართავენ ორგანიზაციებს (ავიასაწარმოებს).

	<p>საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია ავიაციის ეფექტური ფუნქციონირების გარეშე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია დარგის მართვა განხორციელდეს მენეჯმენტში არსებული თანამედროვე კვლევებისა და მეთოდების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის მიზანს წარმოადგენს სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების (ავიასაწარმოების) ეფექტიან ადმინისტრირებას, შესწავლილი აქვს და გააჩნია პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები.</p>
შედეგები	<p>ბაკალავრს აქვს მენეჯმენტში ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს: ეკონომიკური მეცნიერების ძირითად პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; ზოგადი და საპაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული საკითხების კრიტიკულ გააზრებას; ავიაბიზნესის წარმართვის ძირითად ტენდენციებს.</p> <p>ბაკალავრი შეძლებს ბიზნესის ფუნქციური სფეროების - პროექტების, სტრატეგიული, ადამიანური რესურსების, სამგზავრო და სატვირთო ავიაგადაყვანა-გადაზიდვების მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების, მარკეტინგის, ავიასაწარმოთა ეკონომიკური ანალიზისა და სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკის საკითხების კომპლექსურ გაცნობიერებას.</p> <p>ბაკალავრს შეუძლია კომპეტენციის ფარგლებში, ხელმძღვანელის მითითების საფუძველზე ორგანიზაციების (ავიასაწარმოების) ბიზნეს-საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, კერძოდ: ბიზნეს-გეგმაზე მუშაობა; ბიზნეს-პროექტის ცალკეული სტადიების შემუშავება; ორგანიზაციის წინაშე არსებული ცალკეული მმართველობითი პრობლემების გადაჭრა; მიზნობრივი ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი სეგმენტაცია; მატერიალური, შრომითი, ფინანსური რესურსების მართვა, მათი რაციონალური გამოყენება და მონიტორინგი.</p> <p>ბაკალავრს აქვს: მენეჯმენტის სფეროში სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, განმარტებისა და მათი ანალიზის საფუძველზე დასკვნის გაკეთების უნარი; შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, პრაქტიკულ საქმიანობაში სიტუაციური ანალიზის საფუძველზე წამოჭრილი საკითხების ფორმულირებისა და დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარი.</p> <p>ბაკალავრს შეუძლია: ბიზნესის სფეროში თანამედროვე ტენდენციების, არსებული პრობლემების, მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა ქართულ და ინგლისურ ენებზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია; სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებში კომუნიკაცია; ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა.</p> <p>ბაკალავრს აქვს: მენეჯმენტის სფეროში თანამედროვე კვლევებისა და მეთოდების, ასევე ტექნოლოგიური სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის უწყვეტად განახლების უნარი; სხვადასხვა ტექნიკური წყაროების გამოყენებით ავიაციის სფეროში ინტერესების გაფართოებისა და ცალკეული საკითხების შესწავლის უნარი.</p> <p>ბაკალავრს მიღებული ცოდნის საფუძველზე, შეუძლია განსაზღვროს სწავლის გაგრძელების შემდგომი საჭიროება.</p>



	ბაკალავრს გაცნობიერებული აქვს ბიზნესში ქცევის ეთიკური ნორმები და მორალური პრინციპები, ასევე ფლობს პროფესიული ღირებულებების კომპონენტებს (სიზუსტეს, პუნქტუალობას, ორგანიზებულობას, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, ადამიანთა მოტივაციასა და საერთო მიზნების მისაღწევად მათ ორგანიზებას).
კრედიტები	240
საკონტაქტო პირი	პროფესორი ნოდარ დუმბაძე 277-83-07. 599-55-33-54

## მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება

სპეციალიზაცია: საჭაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი 020328

საგანმანათლებლო პროგრამა: საჭაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჭაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალიზაციით
მიზნები	<p>უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია საჭაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში ღრმა თეორიული ცოდნისა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტის მომზადებაზე, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება.</p> <p>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მიღებული სისტემური ცოდნის საფუძველზე, მაგისტრმა შეძლოს ავიასაწარმოს მართვა, როგორც კვალიფიციურმა სპეციალისტმა; მონაწილეობა მიიღოს ავიასაწარმოს სტრატეგიულ დაგეგმვასა და მის მუდმივად განვითარების პროცესში; შეიმუშავოს ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია საჭაერო ტრანსპორტის ეფექტური მუშაობის ამაღლებისა და სერვისული მომსახურების გაუმჯობესებაზე; კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ავიასაწარმოს საქმიანობაში დამოუკიდებლად მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და იმუშაოს მისი გადაწყვეტის გზების ძიებაზე; შეძლოს ბიზნესის კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების პროფესიულ სფეროში დაცვა და არგუმენტირება.</p>
შედეგები	<p>მაგისტრს უახლოეს კვლევებზე დამყარებული ღრმა და სისტემური ცოდნა აქვს საჭაერო ტრანსპორტის ეკონომიკასა და მენეჯმენტის სფეროში, რომელიც მოიცავს ავიაბაზრის გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციებს და გამოწვევებს, საჭაერო ტრანსპორტის ინდუსტრიის განვითარების ბიზნეს სტრატეგიებს; საერთაშორისო საჭაერო სამართლის ნორმებს, საჭაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესებსა და მოთხოვნებს; მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტს (CRM), ავიაპროდუქტზე ხარისხის კონტროლს და გაყიდვების სტრატეგიას; ავიასაწარმოების მარკეტინგულ გარემოსა და მიზნობრივიავიაბაზრების ათვისების მეთოდებს; საჭაერო ხაზების ფორმირების სტრატეგიას, ჰაბებს შორის ფრენების ორგანიზებას და ავიაპარკის დაგეგმვის მეთოდებს; ტექნიკური მომსახურების რესურსების მართვის მეთოდებს.</p> <p>მაგისტრს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია გლობალური ავიაბაზრის მუდმივად ცვალებად ბიზნეს გარემოში ორიენტაცია და ავიასაწარმოებისათვის შესაბამისი სამოქმედო სტრატეგიის შერჩევა; მგზავრთბრუნვისა და ტვირთბრუნვის გათვალისწინებით საჭაერო ხომალდის ტიპების შერჩევა, საჭაერო ხაზების ქსელის დაგეგმვა და მათი</p>

	<p>კომერციული ექსპლუატაცია; ავიასაწარმოების შემოსავლებისა დასაფასო პოლიტიკისმართვა; ავიასაწარმოების მარკეტინგული გარემოს შესწავლა და ორიგინალური გზებით ავიაპროდუქტის გაყიდვების სტიმულირება; ავიაპროდუქტის ხარისხის კონტროლი; საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პროცესის დაგეგმვა და მართვა.</p> <p>მაგისტრსგააჩნია ავიასაწარმოებისათვის სამოქმედო სტრატეგიის შერჩევის მიზნით, ავიაბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და დასაბუთებულიდასკვნისჩამოყალიბების უნარი; ბიზნეს კვლევის საფუძველზე მიღებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვების, კრიტიკული ანალიზისა და მათი სინთეზის უნარი; ავიასაწარმოების საოპერაციო და ფინანსური ინფორმაციისანალიზისდა მასზე დაყრდნობით საოპერაციო და სტრატეგიული გადაწყვეტილებებისმიღების უნარი.</p> <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მაგისტრსგააჩნიასაჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში თანამედროვე ტენდენციების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, ქართულ და ინგლისურ ენებზე, საკუთარი მოსაზრებისა და არგუმენტირებული დასკვნების კომუნიკაციის უნარი დარგის სპეციალისტებთან და აკადემიურ წრეებთან.</p> <p>მაგისტრს შეუძლია პროფესიული განვითარების მიზნით დამოუკიდებლად აიმაღლოს ცოდნა დარგში არსებული ლიტერატურისა და სხვადასხვა წყაროებიდან მოძიებული ინფორმაციის მეშვეობით; საკუთარი ცოდნის კრიტიკული შეფასების საფუძველზეაცნობიერებს სწავლის გაგრძელების საჭიროებას და სტრატეგიულად გეგმავს მომავალი სწავლის პროცესს.</p> <p>მაგისტრი აცნობიერებსწარმატებული ბიზნესის საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი როგორც პირადი, ისე გუნდური პასუხისმგებლობის საკითხებს; იცავს ეთიკური ნორმებსა და მორალურ პრინციპებს, რომლებიც ავიაბიზნესის სფეროში მოქმედ თამაშის წესებს ემყარება; გააჩნია ავიაბიზნესის მართვის სტრატეგიული ხედვა, რომელიც საჰაერო ხაზებზე სერვისული მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და მართვის ინოვაციური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვის სწრაფვას ეფუძნება.</p>
კრედიტები	120
საკონტაქტო პირი	პროფესორი იური სუხიტაშვილი 599 36 61 11, y.sukhitashvili@ssu.edu.ge
<b>მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება</b>	
<b>სპეციალობა: საბუღალტრო აღრიცხვა 0201</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: საბუღალტრო აღრიცხვა</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით
მიზნები	საბუღალტრო აღრიცხვის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის

	<p>მისიას, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს უმაღლესი განათლების სივრცეში ქვეყნის განვითარების თანადროული და საზოგადოების მოთხოვნაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. აღნიშნული სპეციალობით ბაკალავრიატში სწავლების უმათავრესი მიზანია საბუღალტრო აღრიცხვის განხორციელებისათვის აუცილებელი მეთოდების, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნის შეძენა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რათა მან შეძლოს ბუღალტრული საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელება; დარგობრივ ცოდნასთან და უნარებთან ერთად, იმ ტრანსფერული უნარების და ცოდნის შეძენა, როგორცაა გადაწყვეტილების მიღება, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია მშობლიურ და ინგლისურ ენებზე, ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, რომლებიც მას დაეხმარება საზოგადოებაში და პროფესიონალურ ასპარეზზე წარმატების მიღწევაში.</p>
<p>შედეგები</p>	<p>ბაკალავრს აქვს საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პრინციპების, თეორიების და მეთოდების ფართო ცოდნა; კერძო სამართლის სუბიექტებში, საბიუჯეტო ორგანიზაციებში შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნების სრული დაცვით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესების, აუდიტის ჩატარების პრაქტიკული ასპექტების ცოდნა; აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა; სამეურნეო პროცესებთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების ცოდნა; საგადასახადო პოლიტიკისა და გადასახადების ადმინისტრირების თანამედროვე მოთხოვნების, გადასახადების გაანგარიშების ცოდნა; ფინანსების, მათ შორის ავიაკომპანიის ფინანსების, სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკის, მარკეტინგის, ადამიანური რესურსების, პროექტების მენეჯმენტის და ავიასაწარმოთა ეკონომიკური ანალიზის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნა.</p> <p>ბაკალავრს აქვს ბუღალტრული ინფორმაციის მოძიების, ბუღალტრული დოკუმენტების მომზადების უნარი; პირველადი და ნაერთი საბუღალტრო დოკუმენტების, ბუღალტრული ბალანსის შედგენის უნარი; საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტებში, მათ შორის ავიასაწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის ჩატარების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების და ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის გამოყენების უნარი; ბუღალტრული აღრიცხვის თანამედროვე საინფორმაციო და ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან სრულყოფილად მუშაობის უნარი; წარმოების სხვადასხვა ტიპის პირობებში პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის შედგენის უნარი; დანახარჯების ანალიზის, კონტროლისა და მენეჯერული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო შიდა ინფორმაციის მომზადების უნარი; საგადასახადო ანგარიშგების მომზადების, აუდიტორული შემოწმების დაგეგმვასა და ჩატარებაში მონაწილეობის და ცალკეული საკითხების პრაქტიკული განხორციელების უნარი.</p> <p>ბაკალავრი შეძლებს საბუღალტრო აღრიცხვის დარგში სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას და მათი ანალიზის საფუძველზე დასკვნის გაკეთებას; საწარმოს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციიდან მოპოვებული ინფორმაციის დალაგებას და ანალიზს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, შედეგების ფორმულირებას და დასკვნების გამოტანას; ელექტრონული დოკუმენტებიდან, ელექტრონული</p>

	<p>ცხრილებიდან, მონაცემთა ბაზებიდან ინფორმაციის მოძიებას, ახალი ინფორმაციის განზოგადებას და სწორ დიაგნოსტიკას.</p> <p>ორგანიზაციის ანალიზისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამორჩევა.</p> <p>ბაკალავრი შეძლებს საბუღალტრო აღრიცხვის დარგში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირად გადაცემას ქართულ და ინგლისურ ენებზე; ჯგუფში მუშაობას და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას. საბუღალტრო აღრიცხვის განხორციელებისას თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.</p> <p>ბაკალავრი შეძლებს დამოუკიდებლად ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის მოძიებას, ლიტერატურის დახმარებით ცოდნის ამაღლებას; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას; საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში პროფესიული კარიერის განვითარების მიზნით, სწავლის საჭიროებების დადგენას.</p> <p>ბაკალავრს გააზრებული აქვს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე; მიზანდასახულად მიისწრაფის პროფესიული ფასეულობების დამკვიდრებისაკენ; პატივს სცემს ჰუმანურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.</p>
კრედიტები	240
საკონტაქტო პირი	პროფესორი გულნარა იმედაშვილი 236 26 75: 555 32 32 11: guliko_54@inbox.ru
<b>მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება</b>	
<b>სპეციალიზაცია: ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი 020101</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამა: ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის სპეციალიზაციით
მიზნები	<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ფინანსურ აღრიცხვასა და კონტროლში, რომელთაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა; ბიზნესის ადმინისტრირების დარგში ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის, პრობლემის გადაჭრის, ჯგუფში მუშაობისა და კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; ფინანსური აღრიცხვა-ანალიზისა და აუდიტის ჩატარების ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; საწარმოებში საქმიანობის შედეგების მართვის უნარი.</p>

## შედეგები

კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას; ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის, აუდიტორული სტანდარტებისა და პროცედურების ღრმა და სისტემური ცოდნა; საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის მართვის მეთოდური საფუძვლების ცოდნა და მისი როლის განსაზღვრა კონტროლის სისტემაში; ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის კვლევის სპეციფიკური მეთოდების სიღრმისეული ცოდნა; ფინანსური ანგარიშგების, აუდიტორული დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი მოთხოვნების, საწარმოს მყარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის მეთოდების და ხერხების ცოდნა;

აცნობიერებს ფინანსური აღრიცხვის როლს კომპანიის წარმატებული საქმიანობისთვის; ბიზნესის სფეროში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე გლობალურ პროცესებს.

კურსდამთავრებულს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება, ბიზნესის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება; ფინანსური აღრიცხვის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; დარგის სპეციფიკური სამეურნეო ოპერაციების ფინანსურად აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით შედგენა; ავიასაწარმოებში ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის, აუდიტორული საქმიანობის ჩატარება; ორგანიზაციისთვის შესაბამისი საბიუჯეტო სისტემის შერჩევა, ბიუჯეტის შედგენა; შედეგების შესაფასებელი კოეფიციენტების განსაზღვრა და გამოყვანა; კონკრეტული ბიზნეს-საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით დანახარჯთაღრიცხვის განხორციელება; კომპანიის საქმიანობის შედეგების მართვა.

კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული პრობლემების შესწავლა, მათი გაანალიზება და გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, შესაბამისი დასკვნის გამოტანა; კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი წყაროების მოძიება, მათი დამუშავება და პრობლემათა გადაჭრის გზების გამონახვა; აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით აუდიტორული დასკვნის მომზადება; რთული და არასრული ფინანსური ინფორმაციის დალაგება, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შედეგების ფორმულირება, უახლოეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშების საფუძველზე ორგანიზაციის ქმედითუნარიანობის შეფასება; საინვესტიციო პროექტების შეფასების შედეგად ოპტიმალური საინვესტიციო გადაწყვეტის პოვნა; ბიუჯეტური და ფაქტობრივი მონაცემების ანალიზი და გადახრების მიზეზების დადგენა.

კურსდამთავრებულს შეუძლია სხვადასხვა ბიზნეს-სიტუაციებში ინფორმაციის სრულყოფილი გადაცემა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე; მომხმარებლებთან ურთიერთობის მიზნით ინფორმაციის ზეპირი ფორმით გაშუქება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით; შემოქმედებითად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევები პროფესიონალური ბუღალტერიისა და აუდიტორული საქმიანობის

	<p>თავისებურებების გათვალისწინებით.</p> <p>კურსდამთავრებულს აქვს ფინანსური აღრიცხვის კუთხით უახლესი ლიტერატურისა და მიღწევების გაცნობის, ინფორმაციის მოპოვებისა და ცოდნის ინტეგრირების უნარი; სწავლის საშუალებების მოძიების, პროფესიონალური ბუღალტერიისა და აუდიტორული საქმიანობის თავისებურებების გაცნობიერების საფუძველზე შემდგომი სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვისა და წარმართვის უნარი.</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში იმოქმედოს ფინანსური აღრიცხვისა და კოტროლის წარმოების სამართლიანი ხერხებით; წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში; კრიტიკულ არაპროგნოზირებად სიტუაციებში დაიცვას პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმები.</p>
კრედიტები	120
საკონტაქტო პირი	პროფესორი გულნარა იმედაშვილი 236 26 75: 555 32 32 11: guliko_54@inbox.ru

## მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება

სპეციალობა: ტურიზმი 0205

საგანმანათლებლო პროგრამა: ტურიზმი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს აკადემიური ხარისხი ტურიზმის სპეციალობით
მიზნები	<p>პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ტურიზმის სფეროში (ტურისტულ ფორმებში, სააგენტოებში, საინფორმაციო და სარეკლამო ცენტრებში, საექსკურსიო ობიექტებში, ავიაკომპანიებში) ბიზნეს-პროცესების ეფექტურ ადმინისტრირებას, სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებას; და რომელსაც შესწავლილი აქვს მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, აქვს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ტურიზმის სფეროში უზრუნველყოფს მენეჯერებისა და ადმინისტრაციული ფუნქციით დაკავებული ადამიანების აკადემიურ განათლებას, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართავენ ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებსა და საწარმოებს.</p> <p>საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და `ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში` დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე. საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირებასთან და ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, აგრეთვე სავალდებულო პრაქტიკა. დამხმარე ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო (სავალდებულო და არჩევითი)</p>

	<p>სასწავლო კურსები და ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტი. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და აისახება სასწავლო გეგმაში.</p>
<p>შედეგები</p>	<p>ბაკალავრმა იცის ეკონომიკური და სოციალური სფეროების ძირითადი თეორიები და კონცეფციები; ტურიზმის გეოგრაფია, საერთაშორისო ტურისტული ინდუსტრიის ინფრასტრუქტურა, რეკრეაციული ზონები და საკურორტო სისტემა; ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული დარგის, ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ფაქტორის ადგილისა და როლის მნიშვნელობა; ტურიზმის ბიზნესის მენეჯმენტის წარმართვის ფორმები, მეთოდები და ძირითად ტენდენციები; ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების - ზოგადი მენეჯმენტი, მარკეტინგი, კადრების მართვა, ფინანსური აღრიცხვა, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები საფუძვლები, ტურიზმის, როგორც ბიზნესის - მენეჯმენტი, მარკეტინგი, დაგეგმვისა და მონიტორინგის, ოპერეტივების საფუძვლები და აცნობიერებს მათ ურთიერთკავშირს; ტურიზმის, მარკეტინგის, ადამიანური რესურსების მართვის, საფინანსო-საინვესტიციო, საინფორმაციო სისტემებისა და ბიზნესის სხვა სფეროების ფუნდამენტური პრინციპები.</p> <p>ბაკალავრი ერკვევა ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის არსსა და მნიშვნელობაში, თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებში, ტურიზმის მსოფლიო ინდუსტრიის ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ტურიზმის პერსპექტივებში; საერთაშორისო ტურიზმის ორგანიზაციულ ასპექტებში; ტურიზმის სფეროში ბიზნეს-გეგმების შედგენისა და განხორციელების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში; ტურისტული მარშრუტების დაგეგმვის ტექნოლოგიებსა და ტურისტული სერვისის დაჯავშნის სისტემაში; იცნობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკას.</p> <p>ბაკალავრმა უნდა შეძლოს სათანადო მეთოდების გამოყენებით ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის სფეროში მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება- შეფასება და პრობლემების გადაჭრა; ბიზნეს-გარემოს გათვალისწინებით ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა; საწარმოებში ფინანსური ინფორმაციის ანალიზი, სინთეზი, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მონაცემების გამოყენება და ბიუჯეტის მომზადება, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა; მიზნის დასახვა; მიზნების, ამოცანებისა და შედეგებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა; შესაბამისი შრომითი, მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების განსაზღვრა და მართვა; თვითღირებულების კალკულაცია ხარჯვითი მუხლების მიხედვით და სისტემების დანერგვით გამოწვეული ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა; საქმიანობათა მონიტორინგი და შეფასება; ეკონომიკური მოვლენების ანალიზი მიკრო და მაკრო დონეზე; საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული ზონების, საკურორტო სისტემის პოტენციალის კვლევა, მიღებული შედეგების შეჯერებითა და სინთეზით მიღებული ინფორმაციის ანალიზში მონაწილეობის მიღება; პრაქტიკული დაკვირვებების</p>

	<p>საფუძველზე ორგანიზაციათა კონკურენტუნარიანობის გაზრდა ბაზარზე; ტურიზმის სფეროში მოქმედ ფაქტორებზე დაკვირვების საფუძველზე რისკების გამოვლენა; ტურიზმის სფეროში სტრატეგიულ აზროვნება და ბიზნესის გრძელვადიანი დაგეგმარება.</p> <p>ბაკალავრს უნდა შეეძლოს ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, მონაცემთა ბაზებში მუშაობა, მათი გაანალიზება და სათანადო დასკვნების გაკეთება; ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე გადახდისუნარიანობისა და ფინანსური მდგრადობის, ასევე ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი; ახალი და განყენებული მონაცემების და სიტუაციების დამოუკიდებელი ანალიზი ტურიზმის ბიზნესის სფეროსთვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით; ალტერნატიული ტურისტული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება და დაცვა; მიღებული ცოდნის ანალიზი.</p> <p>ბაკალავრი შეძლებს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას ქართულ და უცხოურ ენებზე; ინგლისურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემას, წერილობით მომზადებას, ასევე ზეპირად წარდგენას (პრეზენტაციას); მონაწილეობის მიღებას დისკუსიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან; ეკონომიკური ლიტერატურიდან, ინტერნეტიდან, საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებიდან და სხვა წყაროებიდან შესაბამისი ინფორმაციის მოძიებასა და სარგებლობას; თავისუფალ კომუნიკაციას ტურიზმის სფეროში მიმდინარე პროცესებსა და პრობლემებზე, როგორც დარგის სპეციალისტებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან.</p> <p>ბაკალავრს მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია დაგეგმოს პირადი კარიერა და სრულიად დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად კრიტიკული და მრავალმხრივი შეფასება. ტურიზმის სფეროში ლიტერატურასთან, წყაროებთან და ინტერნეტ რესურსებთან მუშაობა კარიერული ზრდის უზრუნველყოფის მიზნით; ტურისტული სერვისის სფეროში ახალი ინფორმაციის მოძიებას, მონაცემების ინტერპრეტაციას, დამუშავებას, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებას და დიაგნოსტიკას.</p> <p>ბაკალავრმა იცის ბიზნესის წარმოების სამართლიანი ხერხები, ბიზნესში ქცევის ეთიკური ნორმები და მორალური პრონციპები; ტურიზმის სფეროში სწორი სტრატეგიისა და პოლიტიკის გამომუშავება; ათვისების მიზნით ტურიზმის ადმინისტრირების დარგის ღირებულებებს. კერძოდ, იმ ცოდნასა და პრაქტიკულ-ლიდერულ უნარებს, რაც მას წარმოაჩენს, როგორც სანდო და დასაყრდენ სპეციალისტს, რათა იმუშაოს ტურისტულ კომპანიებში.</p>
კრედიტები	240
საკონტაქტო პირი	პროფესორი კობა არაბული 599 535 693, k.arabuli@yahoo.com/@euruni.ge



სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მის მიერ გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას - 60 ქულა (ერთი შუალედური შემოწმება და მიმდინარე შეფასება ან ორი შუალედური შემოწმება);

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას - 40 ქულა.

სტუდენტთა შეფასების სქემა, პერიოდულობა და კრიტერიუმები მოცემულია თითოეულ სილაბუსში.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შეფასება.